

## სსიპ „საქართველოს ეროვნული ბანკი“ აცხადებს კონკურსს კვებით მომსახურებაზე, კერძოდ, საკასო ცენტრში არსებული სასადილოს ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე

**ობიექტი:** საქართველოს ეროვნული ბანკის საკასო ცენტრში არსებული სასადილო.

**ობიექტის მისამართი:** ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N72.

**მომსახურების ვადა:** 1 (ერთი) წელი ხელშეკრულების დადებიდან (ურთიერთშეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება).

**ობიექტის ფართი:** 170.18 მ<sup>2</sup> (სასადილო დარბაზი 135.25 მ<sup>2</sup>; სამზარეულო 24.11 მ<sup>2</sup>; საკუჭნაო (სამარაგო + სამრეცხაო) 10.82 მ<sup>2</sup>).

**მომსახურების მიზანი:** ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

**ობიექტის აღჭურვილობა:** აღნიშნული ობიექტი აღჭურვილია ყველა იმ ინვენტარით (ელექტრო ქურებით, მაცივრით, ჭურჭლის სარეცხი მანქანით, მაგიდა-სკამებით, სამზარეულოსა და სუფრის ჭურჭლით და ა.შ.) რაც უზრუნველყოფს ობიექტის ფუნქციონირებას.

**თანამშრომელთა რაოდენობა:** 65-70 პერსონა.

### 1. საკონკურსო ვადები:

1.1. საკონკურსო განაცხადის (საკვალიფიკაციო მონაცემების და საკონკურსო წინადადებების) მიღება იწარმოებს 2019 წლის 8 აპრილის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე, ქ. თბილისი, სანაპიროს 2 სსიპ „საქართველოს ეროვნულ ბანკში“, განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქულ კონვერტში. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები არ მიიღება;

1.2. საკონკურსო განაცხადების გახსნის ვადაა 2019 წლის 8 აპრილის 15:15 საათი;

1.3. კონკურსის შედეგების გამოცხადება მოხდება არაუგვიანეს 2019 წლის 19 აპრილისა;

1.4. ხელშეკრულება გაფორმდება: კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღისა.

### შენიშვნები:

ა) საქართველოს ეროვნული ბანკი იტოვებს უფლებას, უაპელაციოდ 10 დღით ადრე შესაბამისი შეტყობინების გაკეთებიდან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

ბ) საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს კომუნალური გადასახადების გადახდას.

### 2. საკონკურსო პირობები:

2.1. საკონკურსო განაცხადი უნდა მოიცავდეს საკვალიფიკაციო მონაცემებსა და საკონკურსო წინადადებებს;

2.1.1. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1.1.1. იურიდიული პირებისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, (არარეზიდენტი პირებისათვის – შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან);

2.1.1.2. ფიზიკური პირებისათვის (ინდივიდუალური მეწარმე): ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;

2.1.1.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის: ინფორმაცია უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების განხორციელების შესახებ.

*შენიშვნა: ანალოგიურად ჩაითვლება მხოლოდ ის მომსახურება, რომელსაც კონკურსანტი უწევს ორგანიზაცია/დაწესებულებებს სადაც თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს მინიმუმ 60-ს.*

**2.1.2. საკონკურსო წინადადებები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უნდა შეიცავდეს:**

2.1.2.1. პროდუქციის ჩამონათვალს და ფასებს (მენიუ), იხილეთ დანართი N1;

2.1.2.2. კონკურსანტის სრულ რეკვიზიტებს (დასახელებას, იურიდიულ და ფაქტიურ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს).

2.2. კონკურსში მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ასევე შესაძლებელია წარმოადგინოს დამატებითი მენიუ.

**3. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე პირთა განცხადების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის გათვალისწინებით:**

ა) დანართი N 1-ში მოცემული მენიუს ჯამური ფასი – **0.6**;

ბ) გამოცდილება – **0.4**.

*შენიშვნა: შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენენ საკონკურსო წინადადების იმ მაჩვენებელს, რომელთა შეფასების საფუძველზეც ხორციელდება კონკურსანტების წინადადებების ურთიერთშედარება და გამარჯვებულის გამოვლენა. თითოეული კრიტერიუმის შეფასება ხორციელდება 10 (ათი) ბალიანი სისტემით.*

**4. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს:**

4.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღისა ობიექტის ამუშავება;

4.2. ობიექტის მუშაობა სამუშაო დღეებში 12:00 საათიდან 15:00 საათამდე. სეზონის წინასწარი მოთხოვნით კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია უზრუნველყოს ობიექტის მუშაობა არასამუშაო დღეებშიც;

4.3. ობიექტის და ინვენტარის მოვლა დასუფთავება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით;

4.4. სუფრის სანელებლებით (მარილი, პილპილი, მდოგვი და შაქარი) მომარაგება;

4.5. ქალაქის ხელსახოცებით მომარაგება;

4.6. მომსახურების სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო დამატებითი ინვენტარით აღჭურვა და საჭიროებიდან გამომდინარე შევსება;

4.7. საკონკურსო განაცხადში მითითებული ფასების უცვლელიობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

4.8. მაღალხარისხიანი პროდუქტებით, ნახევარფაბრიკატებით და მზა პროდუქციით შეუფერხებელი მომარაგება;

4.9. ყოველდღიურად ახალი ცივი და ცხელი კერძების მომზადება;

4.10. მზა პროდუქციის და ნახევარფაბრიკატების ვარგისიანობის ვადის მკაცრი დაცვა;

4.11. პროდუქციაზე ხარისხის დაცვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;

4.12. საზოგადოებრივი კვების სფეროში მომსახურების აღიარებული ხარისხის უმაღლესი სტანდარტების დაცვა.

**5. ანაზღაურება:**

5.1. საქართველოს ეროვნული ბანკი ავტორიზებულ მომხმარებელს ყოველდღიურად სარგებლის სახით დაურიცხავს 4 (ოთხი) ლარს;

5.2. ავტორიზებული მომხმარებლის მიერ ფაქტობრივად მოხმარებული პროდუქციის ღირებულების გადახდა განხორციელდება შემდეგნაირად:

5.2.1. თუ ავტორიზებული მომხმარებლის მიერ დღეში მოხმარებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 4 (ოთხი) ლარი ან ნაკლები, ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით სებ-ის მიერ შემსრულებლის ანგარიშზე გადარიცხვის გზით („სარგებელი“);

5.2.2. თუ ავტორიზებული მომხმარებლის მიერ დღეში მოხმარებული პროდუქციის ღირებულებამ შეადგინა 4 (ოთხი) ლარზე მეტი, მაშინ 4 (ოთხი) ლარს, ანუ „სარგებელს“ გადაიხდის სებ-ი უნაღდო ანგარიშსწორებით, ხოლო ნამატ თანხას იხდის ავტორიზებული მომხმარებელი ადგილზე ნაღდი ანგარიშსწორებით;

5.2.3. ჯამური „სარგებლის“ თანხის დაანგარიშება და ურთიერთშედარება მოხდება ყოველი თვის დასრულებისას. ურთიერთშედარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, შემსრულებელი გამოწერს ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი;

5.2.4. სებ-ის მიერ „სარგებლის“ ანაზღაურება მოხდება არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან.

5.3. არაავტორიზებული მომხმარებლები შეძენილი პროდუქციის სრულ ღირებულებას იხდიან ნაღდი ანგარიშსწორებით ადგილზე;

5.4. მომხმარებელთა ავტორიზაციის მექანიზმი დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმებისას.

**6. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:**

ნიკოლოზ ჩუხრუკიძე: ტელ: 2406 398; ელ.ფოსტა: [nchukhrukidze@nbg.gov.ge](mailto:nchukhrukidze@nbg.gov.ge)

მენიუ

დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ღირებულება
<b>ცივი საუზმე</b>			
ყველი სულგუნი	გრამი	100	
ყველი იმერული	გრამი	100	
ნადული პიტნით	გრამი	100	
ქათმის სალათი	გრამი	100	
კრაბის სალათი	გრამი	100	
სოკოს სალათი	გრამი	100	
ბერძნული სალათი	გრამი	100	
ოლივიეს სალათი	გრამი	100	
ქარხლის სალათი მაიონეზით	გრამი	100	
ყვავილოვანი კომბოსტოს სალათი	გრამი	100	
ცეზარი	გრამი	100	
ისპანახი ნიგვზით	გრამი	100	
ბადრიჯანი ნიგვზით	გრამი	100	
ბადრიჯანი მაიონეზით	გრამი	100	
აჯაბსანდალი	გრამი	100	
ტკბილი ფლავი	გრამი	100	
სოკოს მუყუჩი ნიგვზით	გრამი	100	
ფრანგული სალათი სოკოთი	გრამი	100	
ბრინჯის სალათი (ხორციტ და კვერცხით)	გრამი	100	
სალათი ლატვიური	გრამი	100	
ქარხალი ნიგვზით	გრამი	100	
სალათი პოლონური	გრამი	100	
ხაჭო	გრამი	100	
არაჟანი	გრამი	100	
<b>ძირითადი კერძები</b>			
აფხაზურა	გრამი	100	
კატლეთი საქონლის	გრამი	100	
კატლეთი ქათმის სულგუნით	გრამი	100	
კატლეთი კიევური	გრამი	100	
კატლეთი სამარხვო	გრამი	100	
ქაბაბი	გრამი	100	
მაკარონი ყველით	გრამი	100	

მაკარონი ხორციტ	გრამი	100	
მოხარშული ვერმიშელი	გრამი	100	
ლობიო ზეთით	გრამი	100	
მწვანე ლობიო	გრამი	100	
ქათმის შნიცელი	გრამი	100	
პიურე	გრამი	100	
წიწიბურა	გრამი	100	
კარტოფილი ფრი	გრამი	100	
შემწვარი კარტოფილი	გრამი	100	
კარტოფილი მექსიკურად	გრამი	100	
ოჯახური (ღორის ხორციტ)	გრამი	100	
ოჯახური (სოკოთი)	გრამი	100	
თევზი კალმახი	გრამი	100	
შემწვარი სკუმბრია	გრამი	100	
სარდელი	გრამი	100	
სოსისი	გრამი	100	
ქათმის ღვიძლი ჩაშუმული	გრამი	100	
ხარჩო საქონლის ხორციტ	გრამი	100	
ბორში	გრამი	100	
სოკოს სუპი	გრამი	100	
მაწვნის სუპი	გრამი	100	
გუფთა	გრამი	100	
ბლინი ხორციტ	გრამი	100	
ბლინი ყველიტ	გრამი	100	
მოხარშული კვერცხი	ცალი	1	
შემწვარი კვერცხი	ცალი	1	
საქონლის სოუზი	გრამი	100	
ცხელი სალათი (ქათ.ხორციტ და ყველიტ)	გრამი	100	
ქათმის ფლავი	გრამი	100	
ვაზის ტოლმა	გრამი	100	
ჩვეულეზრივი ტოლმა	გრამი	100	
ქათმის სუპი მდნარი ყველიტ	გრამი	100	
ბორში უკრაინული	გრამი	100	
სოკოს შილა	გრამი	100	
ხორცის ჩაქაფული	გრამი	100	
სამარხვო ჩაქაფული	გრამი	100	
ოსტრი	გრამი	100	
<b>ცომეული</b>			
მჭადი	გრამი	100	
ჭვიშტარი	გრამი	100	

ხაჭაპური	გრამი	100	
ლობიანი	გრამი	100	
პური	გრამი	100	
ღვეზელი კარტოფილის	გრამი	100	
სოკოს ღვეზელი	გრამი	100	
<b>ტკბილეული</b>			
შუ	გრამი	100	
ეკლერი	გრამი	100	
კექსი	გრამი	100	
სამარხვო კრუასანი	გრამი	100	
კრემიანი ნამცხვარი	გრამი	100	
კრემიანი ფუნთუშა	გრამი	100	
<b>სასმელები</b>			
ბორჯომი 0.5	ცალი	1	
ბორჯომის წყარო 0.5	ცალი	1	
ლიკანი 0.6	ცალი	1	
ნაბელავი 0.5	ცალი	1	
პეპსი 0.5	ცალი	1	
კოკა-კოლა 0.5	ცალი	1	
ლიმონათი «ნატახტარი» 0.5	ცალი	1	
წყალი «ბახმარო»	ცალი	1	
წყალი «ბაკურიანი»	ცალი	1	
ცივი ჩაი	ცალი	1	
ჩაი	ლიტრი	0.25	
ჩაი ლიმნით	ლიტრი	0.25	
ყავა ხსნადი	ლიტრი	0.25	
ნატურალური კომპოტი	ლიტრი	0.25	
<b>ჯამი:</b>			